ქართული ენა და ლიტერატურა

1. რომელ შემთხვევაშია სიტყვა ზღვა გამოყენებული გადატანითი მნიშვნელობით?
ა) ზღვა და ხმელეთი.
ბ) ზღვა ხალხი.
გ) ზღვის დონე.
დ) ზღვის მარილი.

2. სიტყვები - ცნება და მცნება არის:
ა) სინონიმები.
ბ) ანტონიმები.
გ) ომონიმები.
დ) პარონიმები.

3. რომელ წინადადებაშია სტილისტიკური ხარვეზი?
ა) ბოლო დროს ადგილი აქვს გარემოს დაბინძურებას.
ბ) გარემოს დაცვაზე ყოველი ადამიანი უნდა ზრუნავდეს!
გ) სამწუხაროა, რომ უმოწყალოდ იჩეხება ტყეები.
დ) ცხოველთა მრავალი სახეობა გადაშენების პირასაა.

4. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) ბარათის გაგზავნა დამავიწყდა.
ბ) მერცხლის ბუდე ძირს ჩამოვარდა.
გ) ძლიერმა ქარმა ღრუბლები გადარეკა.
დ) ძლივს შევძელი კარავის გაშლა.

5. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) იმათ შეკითხვას უპასუხა.
ბ) იმათმა უამბეს ეს ზღაპარი.
გ) იმათმა ნათქვამმა შეაშფოთა.
დ) იმათ გუშინ შეხვდა.

6. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) ზოგიერთი სტუდენტები საზღვარგარეთ მიავლინეს.

ბ) ლექსიკონში არაერთი ასეთი სიტყვაა შეტანილი.

გ) უამრავი მასალა არსებობს ამ საკითხთან დაკავშირებით.

დ) ყველა ქართველი სიხარულით შეეგება ამ ამბავს.

7. წინადადების რომელი წევრია *ხელყოფა* ამ წინადადებაში:

ჩვენი საგანძურის ხელყოფა მტერმა ვერ მოახერხა.

ა) ქვემდებარე.

ბ) შემასმენელი.

გ) პირდაპირი დამატება.

დ) ირიბი დამატება.

8. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> სწორად გამოყენებული კავშირი?

ა) შემოვიდა ბიჭი, რომელიც წვიმას გვარიანად დაესველებინა.

ბ) მოსწავლეებმა, რომლებმაც გაკვეთილი იცოდნენ, ხელი აიწიეს.

გ) საცავში აღმოჩნდა ხელნაწერი, რომელსაც დიდხანს ეძებდნენ.

დ) შორიდან შენიშნეს ის, რომელსაც ყველანი ელოდნენ.

9. რა ტიპის არის ეს წინადადება:

წავიდნენ ჩემი შავტუხა, ხალისიანი, მოჩხუბარი, მოცეკვავე და ქურდბაცაცა ბოშები.

ა) მარტივი.

ბ) შერწყმული.

გ) რთული თანწყობილი.

დ) რთული ქვეწყობილი.

10. რომელ წინადადებაშია სწორად დასმული სასვენი ნიშნები?

ა) როგორც ჩანს, დღესაც არავინ მოვა – გაიფიქრა ლევანმა.

ბ) როგორც ჩანს, დღესაც არავინ მოვა, – გაიფიქრა ლევანმა.

გ) როგორც ჩანს, დღესაც არავინ მოვა, გაიფიქრა ლევანმა.

დ) როგორც ჩანს, დღესაც არავინ მოვა. – გაიფიქრა ლევანმა.

11. გაიხსენეთ იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამება“.
როგორ ცდილობს „კაცი ერთი სპარსი“ ვარსქენის სისასტიკის შერბილებას?

ა) სპარსი სთხოვს ვარსქენს, არ დასაჯოს დედოფალი ღალატისათვის.

ბ) სპარსი სთხოვს ვარსქენს, სამკაულები არ გამოართვას დედოფალს.

გ) სპარსი სთხოვს ვარსქენს, საპყრობილეში არ მოათავსოს დედოფალი.

დ) სპარსი სთხოვს ვარსქენს, სასტიკად არ მოექცეს დედოფალს.

12. იოანე საბანისძის თხზულებაში „აბოს წამება“ ვკითხულობთ:

„ეგრეთვე ესე კუალად ნაშობი აბრაჰამისი არა თუ თვისით გონებით, არამედ წამის ყოფითა ღმრთისამიერითა იწვია ესეცა და დაუტევა მამაი, და დედაი, და ძმანი, და დანი, და ნათესავნი, და მონაგებნი, და აგარაკები. და წარმოვიდა აქა ნერსეს თანა მგზავრ ქრისტეს სიყუარულისათვის“.

რას ნიშნავს სიტყვები: *„არა თუ თვისით გონებით, არამედ წამის ყოფითა ღმრთისამიერითა იწვია ესეცა“.*

ა) აბო საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისადაც მოქმედებდა და აბრაჰამის ნებითაც.

ბ) აბო საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისადაც მოქმედებდა და უფლის ნებითაც.

გ) აბო საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად კი არ მოქმედებდა, არამედ - ნერსეს ნებით.

დ) აბო საკუთარი გადაწყვეტილების შესაბამისად კი არ მოქმედებდა, არამედ - უფლის ნებით.

13. ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გიორგი მერჩულე მოგვითხრობს:

„არამედ ქართლისა ეპისკოპოსნი მირეან არსენის მამისათვის ფრიად გულწყებულ იყვნეს ამის მიზეზისათვის, რამეთუ თვინიერ განზრახვისა მათისა, ძე თვისი დაადგინა კათალიკოსად თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთაითა. მამფალი გუარამ დიდი მირეანისთვის გულძვირად იყო და მსწრაფლ ხოლო ბრძანა შეკრებაი ეპისკოპოსთაი და უდაბნოისა მამათაი“.

როგორ ხსნის ავტორი გუარამ მამფალის ქცევის მოტივაციას?

ა) განრისხებული იყო მირეანის საქციელის გამო.

ბ) ეპისკოპოსებს უჭერდა მხარს სამართლიანობის დაცვაში.

გ) თავად ესწრაფოდა კათალიკოსობის პატივს.

დ) სჯულის კანონების დასაცავად იბრძოდა.

14. ტარიელი იხსენებს მეფის სასახლეში გამართულ თათბირს:

„დედოფალმან თქვა: „ხვარაზმშა მეფეა მორჭმით მჯდომელი,
მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი!“
შეცილებამცა ვინ ჰკადრა, რათგან თვით იყო მნდომელი!
მოწმობა დავჰრთე, დაესკვნა დღე ჩემი სულთა მხდომელი“.

რა არგუმენტით ასაბუთებს დედოფალი, რომ ხვარაზმშას ძეს სასიძოდ ვერავინ სჯობს?

ა) გარეგნობით ყველას სჯობსო.

ბ) ნესტანი ბედნიერი იქნებაო.

გ) სიმამაცით ყველას სჯობსო.

დ) ხვარაზმშა ძლიერი მეფეაო.

15. რომელი ამბის შეტყობის შემდეგ თქვა ფარსადანმა, რომ ნესტანსა და ტარიელს ერთმანეთი უყვარდათ?

ა) დავარის თვითმკვლელობის.

ბ) ნესტანის გადაკარგვის.

გ) ხატაელთა დამარცხების.

დ) ხვარაზმშას ვაჟის მკვლელობის.

16. როგორ მოიქცა ავთანდილი ასმათთან შეხვედრისას, როდესაც ასმათი მუქარით ვერ შეაშინა?

ა) სცადა ტარიელისადმი თანაგრძნობის გამოხატვით მოელბო ქალის გული.

ბ) სცადა ტირილითა და თავისი მიჯნურობის ხსენებით მოელბო ქალის გული.

გ) ქალის დამშვიდების მიზნით უამბო იგავი ჭაში ჩავარდნილი კაცის შესახებ.

დ) შესთავაზა ასმათს, ეპოვა ხელსაყრელი მომენტი ტარიელის გასაცნობად.

17. წიგნში „დავითიანი“ დავით გურამიშვილი მოგვითხრობს:

„მოუგის დიდი სიყმილი, შემუსრის ძალი პურისა,
აღარვინ იყვის ღვინითა აღმავსებელი ჭურისა.
შემცირდის ხართა ნახნავი, მოსწყდის ნაწველი ფურისა,
ყვნის სასწაულნი, არ იყვის კაცი მიმგდები ყურისა!“

რა არის ამ სტროფის მთავარი სათქმელი?

ა) არავინ იყო ისეთი შეძლებული, რომ ჭურები სხვადასხვაგვარი ღვინით აევსო.

ბ) ერი აღარ იყო ისეთი ძლიერი, რომ თავს დამტყდარი გაჭირვებისთვის გაეძლო.

გ) ქართველებმა ვერ გაიაზრეს, რომ ღმერთი მათ ცოდვების გამო სჯიდა.

დ) ქვეყნის მატერიალური გაჭირვება ყოველთვის ერის სულიერ დეგრადაციას იწვევს.

18. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი დავით გურამიშვილის „დავითიანიდან“:

„იქმოდე გულის თქმისასა გემოვნებისა თმენასა,
თავს თაფლი, ბოლოს ძირმწარე ნუ გეტკბილების ენასა;
გულით უფრთხოდე, ყურითა სასაფრხოს სიტყვის სმენასა,
მით შაეყრები საყვარელს, შენს ლამაზს სულის ლხენასა!“

რა არის პირველი სტრიქონის შინაარსი?

ა) ვერასდროს შეხვდები შენს შეყვარებულს.

ბ) ნებისყოფით დათრგუნე სიამოვნების სურვილი.

გ) ნურასდროს მოითმენ სიამოვნების სურვილს.

დ) ყოველთვის მიჰყევი საკუთარ გულისთქმას.

19. რა დამსახურება მიუძღვის სულხან-საბა ორბელიანს ქართული სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში?

ა) დიპლომატიური მისიით იმოგზაურა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში.

ბ) მოლაპარაკებებს მართავდა ოსმალეთის იმპერიის ოფიციალურ პირებთან.

გ) საქართველოს პირველი სრულუფლებიანი წარმომადგენელი იყო რუსეთში.

დ) ხელს უწყობდა სპარსეთის გავლენის გაძლიერებას საქართველოში.

20. სულხან-საბა ორბელიანი იგავ-არაკთა კრებულში „სიბრძნე სიცრუისა“ წერს: „იყო ხელმწიფე ერთი, რომლის საქმენი არავისგან მოიგონებიან“.

რას გვეუბნება ავტორი ამ სიტყვებით მეფის შესახებ?

ა) ის იყო მეფე, რომელიც დღეს არავის აგონდება.

ბ) ის იყო მეფე, რომლის საქმეებსაც ყავლი გაუვიდა.

გ) ის იყო ყველაზე მდიდარი და შეძლებული მეფე.

დ) ის იყო ყველასაგან გამორჩეული და განსაკუთრებული მეფე.

21. ალექსანდრე ჭავჭავაძის ლექსში „გოგჩა“ ვკითხულობთ:

„მაგრამ ნაქცევნი მისთა კიდეთ ძაძით მმოსველნი...“

რა მხატვრული დატვირთვა აქვს ამ სტრიქონს?

ა) ტრაგიკულ განწყობილებას ანელებს.

ბ) ტრაგიკულ განწყობილებას აძლიერებს.

გ) ბუნებით ტკბობას გამოხატავს.

დ) მომავლის რწმენას გამოხატავს.

22. რის გამო დასაჯა ხელისუფლებამ გრიგოლ ორბელიანი?

ა) 1817-1864 წლების კავკასიის ომში მონაწილეობისათვის.

ბ) 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

გ) 1841 წლის გურიის აჯანყების ჩახშობისათვის.

დ) 1865 წლის თბილისის ამქართა ამბოხების ჩახშობისათვის.

23. გრიგოლ ორბელიანის ლექსში „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“ ვკითხულობთ:

„ვაჰ თუ რაც წახდეს,
ვეღარა აღჰსდგეს,
ვეღარ აღყვავდეს ახლის შვენებით?“

ავტორის რა განცდაა გამოხატული ლექსის ამ მონაკვეთში?

ა) ისტორიული მტრების დამარცხების სურვილი.

ბ) მტრებზე გამარჯვებით გამოწვეული თვითკმაყოფილება.

გ) საქართველოს მომავალთან დაკავშირებული უიმედობა.

დ) საქართველოს უკეთესი მომავალის იმედი.

24. ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „შემოღამება მთაწმინდაზედ“ ვკითხულობთ:

„მე, შენსა მჭვრეტელს, მავიწყდების საწუთროება,
გულის-თქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება...
მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს!“

რა არის ბოლო სტრიქონის აზრი?

ა) ამქვეყნიურ სირთულეებს, სამწუხაროდ, ადამიანი ვერ დაძლევს.

ბ) ბოროტ სულს, სამწუხაროდ, ადამიანი ვერ განაგდებს.

გ) ტრაგიკულ სიყვარულს, სამწუხაროდ, ადამიანი ვერ ივიწყებს.

დ) ღვთიურ ნებას, სამწუხაროდ, ადამიანი ვერ იაზრებს.

25. ყურადღებით წაიკითხეთ სტროფი ლექსიდან „ფიქრნი მტკვრის პირას“:

„მაინც რა არის ჩვენი ყოფა - წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?“

რა იგულისხმება სიტყვებში: „საწყაული აღუვსებელი“**.**

ა) მუდმივი შფოთვა.

ბ) მუდმივი დაუკმაყოფილებლობა.

გ) მუდმივი შემგუებლობა.

დ) მუდმივი შეურიგებლობა.

26. ილია ჭავჭავაძის მოთხრობაში „მგზავრის წერილები“ ავტორი გადმოგვცემს რუსი ოფიცრისა და მგზავრის დიალოგს:

„ - ოციოდ მართალი გენერალი! ბარაქალა მართლმადიდებელ რუსეთს! სახელი და დიდება! საცა ფეხს შესდგამს, დაამყარებს ხოლმე ცივილიზაციას. სულ რამდენი წელიწადია, რაც რუსეთი აქ შემოვიდა?“ „ - იქნება სამოცდაათი.“ „ - შვიდს წელიწადში ორი გენერალი? დიდი საქმეა, დიდი ცივილიზაცია არის. მერე

როგორი გენერალი?! მართალი გენერალი! თუ ღვთის ძალით თქვენში ცივილიზაციამ ეგრე იარა, სამოც-და-ათ წელიწადს უკან კიდევ ოცი გენერალი მოგემატებათ და სულ ორმოცი შეიქმნება“.

რუსი ოფიცრის რომელ თვისებას წარმოაჩენს ავტორი ამ მონაკვეთში?

ა) ბოროტებას.

ბ) დაუნდობლობას.

გ) ამპარტავნობას.

დ) შეურიგებლობას.

27. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან „კაცია-ადამიანი?!“:

„განა ლუარსაბი ბედნიერი არ იყო?.. რა უჭირდა ლუარსაბსა? ფერი აკლდა, თუ ხორცი? რა, სხვა უხეირო კაცსავით, ფიქრი და ზრუნვა ძილს დაუფრთხობდა, მადას წაართმევდა? ფერი კარგი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სმა-ჭამა და ძილი ხომ რაღა. მეტი რა უნდა ქართველ კაცს, რომელიც ბედს და უბედობას ბალნით არჩევს, და რომლისათვისაც ბედს თუ ხვედრს დაუნიშნავს, რომ თავისი დღენი ქუდით უნდა ბუზს ერეკებოდეს“.

ქართველი ადამიანის რა თვისებას აკრიტიკებს ავტორი ბოლო წინადადებით?

ა) ქედმაღლობას.

ბ) გულცივობას.

გ) უსაქმურობას.

დ) უნიჭობას.

28. აკაკი წერეთლის პოემაში „გამზრდელი“ ვკითხულობთ:

„მაშინ ფაცხა უბრალობით
მომხიბლავად ლამაზია
და იმასთან ყველა ტყუის,
რაც კი ციხე-დარბაზია“.

რის თქმა სურს ავტორს სიტყვებით: „იმასთან ყველა ტყუის“**?**

ა) ფაცხა არ არის საიმედო თავშესაფარი.

ბ) ფაცხა საიმედოობით ციხე-დარბაზებს ჩამორჩება.

გ) ფაცხა სამეფო დარბაზზე გაცილებით პატარაა.

დ) ფაცხა სილამაზით ციხე-დარბაზებს აღემატება.

29. რამ გამოიწვია 1870-იან წლებში „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლის განახლება?

ა) უნივერსიტეტის გახსნის ნაცვლად „მამებმა“ იმპერატორს სამხედრო სასწავლებლის დაარსება სთხოვეს.

ბ) საქართველოს სამეფო ტახტის აღდგენის ნაცვლად „მამებმა“ იმპერატორს თანამდებობები სთხოვეს.

გ) „შვილები“იმპერატორის ჩამოსვლის წინააღმდეგ გამოვიდნენ, რასაც „მამები“ არ დაეთანხმნენ.

დ) „შვილები“ განარისხა იმან, რომ „მამათა“ თაობა იმპერატორს ზარ-ზეიმით შეხვდა.

30. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობაში „ხევისბერი გოჩა“ ვკითხულობთ:

„ესენი ამ თავდავიწყებაში იყვნენ, როდესაც ერთბაშად გავარდა თოფი და შეყვარებულები ფეხზედ წამოცვივდნენ. ბედნიერებით გატაცებულს და თავდავიწყებულს ონისეს მხოლოდ ეხლა მოაგონდა თავისი ვალი და სამწუხარო ჭეშმარიტებამ გულზედ მწარე ჭახრაკი მოუჭირა. მის თვალწინ წუთზედ გაირბინა მლოცავი გოჩას სურათმა, მოაგონდა იმის სიტყვები და თავმოყვარეობამ ცრემლები გადმოადინა. მას თვალწინ გადაეშალა შესაძრწუნებელი სურათი მისის ამხანაგების ამოჟლეტისა, რომელნიც ონისეზედ დაიმედებულნი მიწოლილიყვნენ და უზრუნველად ეძინათ“.

რა „ვალი“ **უნდა ყოფილიყო ის, რომელიც** „ონისეს მხოლოდ ეხლა მოაგონდა“**?**

ა) საფრთხის გამო ძიძიას გადამალვა.

ბ) საფრთხის შესახებ ხევისბერის გაფრთხილება.

გ) საფრთხის შესახებ მეგობრების გაფრთხილება.

დ) საფრთხესთან გამკლავება სხვების დაუხმარებლად.

31. ყურადღებით წაიკითხეთ ნაწყვეტი ვაჟა-ფშაველას პოემიდან „ალუდა ქეთელაური“:

„მშვიდობით, საჯიხვეებო,
გამახარელნო თვალისა!
მშვიდობით, ჩემო სახ-კარო,
გულში ამშლელო ბრალისა!
მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
ყმათად მიმცემო ძალისა!“

რომელ სტრიქონში მიმართავს ალუდა ზებუნებრივ ძალას?

ა) I სტრიქონში.

ბ) II სტრიქონში.

გ) IV სტრიქონში.

დ) V სტრიქონში.

32. ვაჟა-ფშაველას პოემაში „სტუმარ-მასპინძელი“ მუსა მიმართავს ჯოყოლას:

„ამ გიაურის გულისთვის
ძმებსაც ეპყრობი მტერადა.
არ იცი, რომ შენი საქმეც
დღეიდან წავა ცერადა?!“

როგორ შეიძლება გავიგოთ მუსას ნათქვამი?

ა) როგორც დათმობა.

ბ) როგორც დაყვედრება.

გ) როგორც დამუქრება.

დ) როგორც პირფერობა.

33. დავით კლდიაშვილის მოთხრობაში „სამანიშვილის დედინაცვალი“ ვკითხულობთ:

„პლატონი ერთობ კარგ გუნებაზე დადგა... დარწმუნებული იყო, რომ ბეკინას ბედს მიაგნო და რამდენიმე ხნის შემდეგ მოსალხენად გამზადებული ვახშმის სუფრას მიუჯდა და მხიარულად ელაპარაკა სალომეს, შემდეგ ვერიჩკას სიმღერაშიაც მხარი მისცა“.

რომელი სიტყვები გამოხატავს იმას, რომ პლატონმა დასახულ მიზანს მიაღწია?

ა) „ერთობ კარგ გუნებაზე დადგა“.

ბ) „ბეკინას ბედს მიაგნო“.

გ) „ვახშმის სუფრას მიუჯდა“.

დ) „მხიარულად ელაპარაკა სალომეს“.

34. გაიხსენეთ ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“.

რატომ მოინდომა ელიმ გველებთან ცეკვა?

ა) იმედოვნებდა, რომ ბრომლეი უხვად დაასაჩუქრებდა.

ბ) უნდოდა ჰექსლეი თავის ნიჭიერებაში დაერწმუნებინა.

გ) სჯეროდა, რომ მოცეკვავე ქალს აჯობებდა.

დ) ნოსტალგიით იტანჯებოდა, სამშობლოში დაბრუნება სურდა.

35. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი კონსტანტინე გამსახურდიას რომანიდან „დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა“:

„მეფე გაცოფდა, აზვავდა, წონასწორობა დაჰკარგა ეროსისაგან გახელებულმა... თრიაქით დამთვრალიყო გიორგი, მელქისედეკი ეწვია იმავე საღამოს. კათალიკოსმა რა გაიგო, მკრეხელური სურათი დაუხატავსო არსაკიძეს, ლაზს, მოაგონდა თავისი ქადაგება სამთავროს ტაძარში, წარმართობის შიშმა წამოუარა ისევ და ხელი აიღო ხუროთმოძღვრის დაცვაზე“.

მეფის რა სულიერი მდგომარეობაა ასახული ამ მონაკვეთში?

ა) გააფთრება.

ბ) იმედგაცრუება.

გ) სინანული.

დ) შიში.

36. ყურადღებით წაიკითხეთ სტროფი ლექსიდან „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“:

„და მაშინ ვიტყვი: აჰა! მოვედი
გედი დაჭრილი ოცნების ბაღით!
შეხედე! დასტკბი ყმაწვილურ ბედის
დაღლილ ხელებით, წამებულ სახით!“

რომელი პოეტური სახე აღნიშნავს ლექსის ლირიკულ გმირს?

ა) „აჰა! მოვედი“.

ბ) „გედი დაჭრილი“.

გ) „დაღლილ ხელებით“.

დ) „ოცნების ბაღით“.

37. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „თოვლი“ ვკითხულობთ: „ისე მომწყურდი, ვით უბინაოს - ყოფნა ბინაში...“
რომელ მხატვრულ საშუალებას იყენებს ავტორი მოყვანილ სტრიქონში?

ა) გაპიროვნებას.

ბ) ეპითეტს.

გ) ჰიპერბოლას.

დ) შედარებას.

38. გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „თოვლი“ ვკითხულობთ:

„ძვირფასო! სული მევსება თოვლით:
დღეები რბიან და მე ვბერდები!
ჩემს სამშობლოში მე მოვვლე მხოლოდ
უდაბნო ლურჯად ნახავერდები“.

ადამიანის რა სულიერ მდგომარეობას აღნიშნავს გამოთქმა: „სული მევსება თოვლით“**?**

ა) აღშფოთებას.

ბ) სევდას.

გ) სიმშვიდეს.

დ) სიხარულს.

39. გაიხსენეთ ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობა „იგი“.
როგორ იქცა იგი საკუთარი თანამოძმეებისაგან გამორჩეულ ინდივიდად?

ა) იგი არ დაემორჩილა ბელადს და გაიქცა.

ბ) იგიმ დასძლია მძვინვარე ნადირის შიში.

გ) იგიმ დასძლია საკუთარი განსხვავებულობის შიში.

დ) იგის შეუყვარდა ნი და დაუმეგობრდა ზუს.

40. ყურადღებით წაიკითხეთ მონაკვეთი ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობიდან „იგი“:

„იგიმ იცოდა, რომ ან უნდა დამორჩილებოდა ბელადს, ან უნდა შებმოდა... ბელადი იგის უყურებდა და ელოდა. ვიღაცამ გამოქვაბულიდან კეტი გამოუტანა იგის და ფეხებთან დაუდო. იგიმ კეტი აიღო. ბელადი დაიძაბა და შეიკუმშა. რომც ჰქონოდა შებმას რაიმე აზრი, იგი მაინც უარს იტყოდა. სხეული დიდი

სიმშვიდით იყო სავსე და ამ სიმშვიდეს ვერაფერს ვერ დაარღვევინებდა“.

რატომ იყო იგი ასე მშვიდად სასიკვდილო განსაცდელის წინაშე?

ა) იცოდა, რომ ბელადს ვერ მოერეოდა.

ბ) იცოდა, რომ თანამოძმეები ვეღარაფერს დააკლებდნენ.

გ) იგი მოაზროვნე ინდივიდი იყო.

დ) იგის უნდოდა ბელადი შეეშინებინა.

ქართული ენა და ლიტერატურის ნიმუშების სწორი პასუხები

1. ---------- ბ)
2. ---------- დ)
3. ---------- ა)
4. ---------- დ)
5. ---------- ბ)
6. ---------- ა)
7. ---------- გ)
8. ---------- დ)
9. ---------- ბ)
10. ---------- ბ)
11. ---------- დ)
12. ---------- დ)
13. ---------- ა)
14. ---------- დ)
15. ---------- დ)
16. ---------- ბ)
17. ---------- გ)
18. ---------- ბ)
19. ---------- ა)
20. ---------- დ)
21. ---------- ბ)
22. ---------- ბ)
23. ---------- გ)
24. ---------- დ)
25. ---------- ბ)
26. ---------- გ)
27. ---------- გ)
28. ---------- დ)
29. ---------- ა)
30. ---------- გ)
31. ---------- დ)
32. ---------- გ)
33. ---------- ბ)
34. ---------- დ)
35. ---------- ა)
36. ---------- ბ)
37. ---------- დ)
38. ---------- ბ)
39. ---------- გ)
40. ---------- გ)